# ეშმა

№ 32

წელიწადი პირველი 1913

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:

წლიურათ . . . . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით. . . . . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . . . . 4 აბაზი

ცალკე ნომრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

შაბათი, 10 დეკემბ.

მისამართი: Кутаисъ, редакція „Ешма“.

Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.


„რადიუმი“ ორშაბათიდან, 9 დეკემბ.

I. პატე ჟურნალი.

II. ბიზანტიის დამხობა. სტამბოლის აღება სულთან მაჰმედ მეორის მიერ. იერიში სტამბოლზე. წმ. სოფიის ტაძარში ქრისტიანების ამოჟლეტა. დიაცთა შეგინება და გაყიდვა გამარჯვებულთა ჰარამხანებში

III. მაქს ლინდ. თვალთმაქცი

IIII. პროგრამის გარეთ: სისხლის ნიაღვარი

დრ. მ. ამერიკაში ფანტთა გათავისუფლების დრამიდან. ანონსი: ხუთშაბათიდან პირველი სერია 6 ნაწილათ.

„ბედის გასალები“

გერბიცკის რომანით.


Анна Павловна Шредеръ съ дѣтьми и Елена Людвиговна Горчакова извѣщаютъ родныхъ, знакомыхъ и сослуживцевъ о безвременной кончинѣ послѣ продолжительной и тяжкой болѣзни первые мужа-отца, а второй брата акцизнаго чиновника

**Августа Людвиговича Шредеръ,**

послѣдовавшей 8 декабря сего года. Похороны на Сапичхійскомъ кладбищѣ во вторникъ 10 декабря 2 1/2 ч. дня. Выносъ тѣла изъ собственной квартиры на Генеральской улицѣ.

**სამოდო-მანუფაქტურის მაღაზია**

**ზ. ს. გუცულოვის**

ქუთაისში გიმნაზიის ქუჩა ბულვრის პირდაპირ

ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ 9-ან 24-მდი ამა ქრისტეშობისთვისა დანიშნულია

**დიდი საშობაო იაფი ვაჭრობა.**

ფ ა ს ე ბ ი უ ვ ა ჭ რ ო თ.

**პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!**

ახლათ მიღებული საქონლები პირველი ღირსების, რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნების და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება დღეიდან მოკლე ვადით ქ. ქუთაისში ბულვარის პირდაპირ, ძმ. ოცხელების შენობაში, ახვლედიანის მაღაზიის უკანა განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონლები: კაცის ყოველნაირი მშვენიერი კოსტიუმი, 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშვების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშვის საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, ბეწვის მუფთები ქუდები და შალები ლაზლის მრავალგვარი, აბრეშუმის იუბკები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წელები, ზედაწელები და ზედაწელის მატერიები ნაჭრობით: კალოშები, კაცის ქალის და ბავშვების რედიკულები, ალბომები, სარკეები და ქალის და კაცის, ქამრები და საქამრე რეზინები, ყოველნაირი რეზინა შემოსაჭერისათვის და აგრეთვე მზა შემოსაჭერი ქალთა და ბავშთათვის. კორსეტები და სხვა. ამასთანავე მოვახსენებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

ახვლედიანის მაღაზიაში არის მიღებული დიდძალი ყოველნაირი ახალმოდის საქონელი და მზა ტანისამოსი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს ვღებულობთ ყოველდღე. ფასები ხელმისაწდომია და უვაჭროთ.

პატივისცემით ა. ახვლედიანი. № 3.

**დიდი იაფი ვაჭრობა.**

**მოსკოვის საფართლო მაღაზიაში**

(ვორონცოვის ქუჩა, საგუბერნიო სამართველოს ქვეშ)

**18 ნოემბრიდან გაიხსნება**

**დიდი იაფი ვაჭრობა**

დრაპების, მაუდების, ტრიკოების, აბრეშუმების, შალების, ზამთრის ჩითებისა და ყოველგვარი ფართლეულობის. ფასები დაკლებულია 40%, რაშიც მყიდველნი თვით დარწმუნდებიან. ფასი უვაჭროთ.

პატივისცემით გაბუნია.

ვ...ც თუთუნს ეწევა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროზებს

**პ ა რ ო ს ი**
25 ცალი 3 შ. იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე
10 — 6 კ. ქუთაისშიც.

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნითა და საუცხოო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა **ძ მ ა თ ა ს ე ი ლ ა ნ ო ვ ე ბ ი ს ა.**

თ ფ ი ლ ი ს შ ი.

**ქ უ თ ა ი ს ი**

პირველი კერძო სამკურნალო სპეციალისტი ექიმებით.

**მუდმივი საწოლებით**

**თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.**

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

დ ი ლ ი თ.

| | | |
|---|---|---|
| გ. ა. აშიანი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული. | . . | 1— 2 |
| გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის | . . . . . | 10—12 |
| ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო | . . . | 11—12 |
| მ. დ. ბეთანოვი—კანის, ათაშანგი, ვენერ. | . . . . | 12— 2 |
| გ. ა. ჭოლოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. | . . . . | 12 1/2 2 |

ს ა ღ ა მ ო თ.

| | | |
|---|---|---|
| გ. ლ. ქორქაშვილი—თვალის | . . . . . . . . | 4 1/2—5 1/2 |
| გ. ა. ჭოლოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. | . . . . | 5 1/2—6 1/2 |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—ანალიზის კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძუძუს შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი 140 №

სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჭოლოშვილი. წ.

**აქიმი** დ. ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშვების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

**ა ქ ი მ ი** კ. თ. ტყეშელაშვილი. ღებულობს ავათმყოფებს (შინაგანი, ვენერიული, კანის) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

**ა ქ ი მ ი** ი. ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

**აქიმი** ვ. მ. ლორთქიფანიძე დაბრუნდა და განაგრძობს ავათმყოფების მიღებას.

**ა ქ ი მ ი** გ. ა. მეიფარიანი, ღებულობს შინაგანი. ბავშვებისა და ვენერიულ ავათმყოფებს. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30 ტელეფონი № 150. თ.


## ალექსანდრე ყაზბეგი.

დღეს სრულდება ოცი წელიწადი მას შემდეგ, რაც უკურნებელი სენით შეპყრობილი, ხანგრძლივ ავათმყოფობას შემდეგ გადაიცვალა ალექსანდრე ყაზბეგი (მოჩხუბარიძე). 1893 წელს, 10 დეკემბერს ქართველმა საზოგადოებამ გააცილა მისი ცხედარი, რომელიც თფილისიდან წაასვენეს მთაში და დაკრძალეს მის საგვარეულო სოფელ სტეფან-წმინდაში. დიდი იყო გლოვა მაშინდელის ქართველობისა მისი უდროოთ დაკარგვის გამო. დაილუპა დიდი შემოქმედებითი ნიჭის პატრონი მწერალი, ქართული პროზის საუკეთესო წარმომადგენელი. ჩვენ არ ვიცით სხვა ავტორი, რომლის ნაწერებიც ისეთი გატაცებით, აღტაცებით იკითხებოდეს, როგორც ყაზბეგისა: ელგუჯა, მოძღვარი, მამის მკვლელი და სხვა. იშვიათად განიცდით ისეთ აღფრთოვანებას, ძნელათ დასტკბებით მხატვრული ნაწარმოებით ისე, როგორც ამ მოთხრობების კითხვის დროს. თვალწინ გეშლებათ ჩვენი ქვეყნის ერთი უმშვენიერესი კუთხის სურათი. თვალს ადევნებთ ამ ბუნების ლაღ შვილთა ცხოვრებას, მათი რაინდობის მაგალითებს, მათ ვნებითა და სიყვარულის გრძნობით შეპყრობილ მოქმედებას და ამ გმირებთან ერთად სუნთქავთ, მათი გამარჯვება გაფრთოვანებთ, დამარცხება და უბედურება გატირებთ, მათს ბედს იზიარებთ, მათთან ერთად ცხოვრობთ. ბევრი ფიქრობს, რომ ასეთი განცდანი ახალგაზრდობის, რომანტიული სულის განწყობილების შედეგია. ეს შემცდარი აზრია: მხცოვანი პოეტი გრიგოლ ორბელიანი „მამის მკვლელის“ კითხვის დროს ფურცლებზე ასე გამოსთქვამს თავის გატაცებას: „ღმერთმა გაკურთხოს მოჩხუბარიძევ იმ დატკბობისათვის, რომელიც მომცა ამა მოთხრობის წაკითხვის ჟამსა. ჯერ ქართულ ენაზე მზგავსი არა დაწერილა რა“...

ქართველების ჰომიროსია! შაბაშ!—აწერს იგივე პოეტი მეორე მოთხრობას.

ყაზბეგის მოთხრობის კითხვა ათრთოლებს და აგმირებს ყოველ ქართველს ასაკისა და მდგომარეობის განურჩევლათ და აკი ღრმათ მოხუცებული გრ. ორბელიანიც ასეთს ექსტაზში მოიყვანა. თუ გრ. ორბელიანმა და ილია ჭავჭავაძემ მოგვცეს ლექსათ უკვდავი სურათები საქართველოს მომხიბვლელი ბუნებისა, არ ნაკლები მხატვრული შემოქმედებით აგვიწერა პროზათ იგივე ბუნება ა. ყაზბეგმა. მან გადაგვიშალა თვალწინ მთის ქართველის მისწრაფვის ახალი წესებით შეუმწიკვლელი და შეურყვნელი სული, მისი ბრძოლა, გამკლავება იმ ახალი, ტლანქი, უხეში ძალის წინააღმდეგ, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ჩვენში დამკვიდრდა. ვაი და უბედურება შეიტანა ამ ძალამ, საქართველოს ყოველ კუთხეში, იგი გამწარებულის ჟინით სპობდა ყოველივეს, რაც მრავალი საუკუნის ცხოვრებაში შემუშავებულიყო, რაც მშობლიურ ნიადაგზე აღმოცენებულიყო, მის ნაცვლათ აჰყარებდა ჩვენი ხალხისთვის უცხო გაუგებარს, მის ხასიათთან და ზნე-ჩვეულებასთან შეუგუებელ წესებს. ირღვეოდა ძველი ეროვნული დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაცია და მის ნანგრევებზე იძულებით შენდებოდა ახალი ჩვენი თავისებურობის, ეროვნული სახის წამშლელი წყობილება. ყოველის მხრით გაისმა უკმაყოფილება, ყოველგან დიდი მღელვარება დაბადა ამგვარმა მოღვაწეობამ. მაგრამ ყველაზე უფრო მწვავე ხასიათი მან მთის ქართველებში მიიღო და ეს სრულიად ბუნებრივია: საუკუნეებით თავისუფალს დამოუკიდებელ ცხოვრებას შეჩვეული, ქართველ მეფეთაგან განებივრებული მთიული ვერ შეურიგდა კაპიტან ისპრავნიკის ბატონობას, ვერ შეურიგდა მისთვის უცნობ ახალი ცხოვრების წესს, მით უფრო რომ მას ძალით ახვევდენ თავზე ამ წესებს. დამოუკიდებლობის მოსპობამ, თავისუფლების დაკარგვამ აამოძრავა მთიულეთი. მთამ იარაღი აისხა და შექმნა ბრძოლა. მთიულეთის აჯანყება დამარცხებით დამთავრდა, მაგრამ მთის ქართველი თავის მდგომარეობას არ შეურიგდა, იგი მძულვარებით იყო სავსე ახალი ბატონებისადმი. ეს გრძნობა მათში დღემდი არ განელებულა... ა. ყაზბეგის უკვდავ ღვაწლს შეადგენს ის, რომ მან პირველათ გამოსახა მხატვრულ ფორმაში მთიულთა გასაჭირი, მათი მდგომარეობა, მათი ბრძოლა გაბატონებული ძალის წინაღმდეგ. მისი ნაწარმოები ცოცხალი სურათია იმისა, თუ რა მდგომარეობაში ჩავარდა ქართველი ხალხი, საქართველოში რუსეთის მფლობელობის გავრცელების შემდეგ. ამავე დროს აქ ჩვენ ვხედავთ სასტიკ პროტესტს ხალხის წმინდათა წმინდის ფეხქვეშ გათელვის წინააღმდეგ, როგორც მთის შვილი მთიულთა შორის დიდხანს ნაცხოვრები, ა. ყაზბეგი მთიულის დიდი გულის მესაიდუმლეა. მას ესმის მთიულის გრძნობის მოძრაობა, იგი ყურს უგდებს მის გულისცემას, იგი თვით იზიარებს მის სულთა სწრაფვას. ამიტომაც შექმნა ასეთი მხატვრული სინამდვილით თავის გმირები. აი, რათ პოულობენ ჩვენს გულში ისინი ესოდენ თანაგრძნობას. ყაზბეგი მკითხველს თითქოს თავის გმირებთაგან ერთად აცხოვრებს, მათთან ერთად ამოქმედებს და შეაყვარებს, აბრძოლებს. აი, რით არის ჩვენთვის ის უსაყვარლესი მწერალი.

განსვენებულს ბედმა მწარე სიცოცხლე არგუნა წილათ. კიდევ უფრო მწარე იყო სიკვდილის წუთები; მდიდრულათ, ფუფუნებაში აზრდილი არისტოკრატიული ოჯახის შვილი სიცოცხლის ბოლო წლებში დიდ გაჭირვებაში ჩავარდა, აუტანელ სიღარიბეს განიცდიდა. მაშინდელმა საზოგადოებამ არ მიაქცია მას ყურადღება. თანაგრძნობას მოკლებული ყველასაგან მივიწყებული მოკვდა იგი.

დღეს მისი დაკარგვის ოცი წელს შემდეგ ჩვენი ვალია ღირსეულათ დავაფასოთ სასიქადულო მამულიშვილის ღვაწლი და თაყვანი ვსცეთ მის ხსოვნას

## ოცი წელიწადი!

ოცი წელიწადი...

ერთი მეხუთედი საუკუნისა...

გაიარა ოცმა წელმა, სავსემ მრავალის თავბრუდამხვევის, წარმტაცის, გულის მომწყვეტლისა და გულის ამაჩქროლებელი ამბებით, მას შემდეგ, რაც ქართველმა ერმა დაკარგა ერთი კორიფეი თავისის ლიტერატურისა.

ოთხმოციან წლებში მთამ, ნაღვლის ღრუბლით მობურვილმა, ხმა გამოიღო. ის მოხევე, რომელიც ყურში ჩასჩურჩულებდა საქართველოს გენიოსს—„ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნესო“, წელში გაიმართა, ფანდური ხელში აიღო სიმები ჩამოაწკრიალა და ალ. ყაზბეგისა და ვაჟას პირით თავისი გულის ნადები გვამცნო. ერთმა ლირიულის პროზით, მეორემ ლირიულის ლექსებით „ლეჩაქმოხდილს ფეხშიშველ საქართველოს“ გულის პასუხი გვამცნო.

ალ. ყაზბეგის პროზა, მართალია, რომანტიულია უაღრესობამდი ლირიულია, მაგრამ საუკუნემ რეალიზმისა და ნატურალიზმისა თავისი გავლენა იქონია, რასაკვირველია, მთელს ლიტერატურაზე და ყაზბეგიც ამას ვერ გაექცეოდა. ამიტო მარის, რომ მისი მოთხრობების საფუძველი სინამდვილის დაკვირვებაა, ამიტომ არის, რომ ამ ლირიზმის აღსავსე ფურცლებს შენიშვნები აქვს გაკეთებული, სადაც ოფიციალური მშრალი

მიიღება ხელისმოწერა
ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ
„ერ"-ზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბუთებია ნაჩვენები, რომლითაც ავტორი ხელმძღვანელობდა საშინელის თავზარდამცემის სურათების დასახატავათ. ეს სურათები იყო სურათი ახალი თავზე ხელაღებული, გაფთრებული თავხედის ძალის შესევა მინდობილის ერის ცხოვრებაში და ის კატასტროფა, რომელიც ამან გამოიწვია მთელი ხალხის სულიერ ფსიხოლოგიაში, მის საუკუნეებიდან შეთვისებულ ჩვეულებასა და ადათში, მთელ მის კულტურაში. ,,ელგუჯა'' ,,მამის მკვლელი'', ,,ციცია'' ,,მოძღვარი''—ეს საოცარი სინამდვილის სისხლი ფერადებით დახატული ტილოა ორი ძალის, ორი კულტურის, ორი მსოფლმხედველობის შეჯახებისა და შეტაკებისა და ამ სისხლის ფერებიან ნახატზე გაშლილია ლირიზმი საოცარი, კვნესა გულისა ძლიერი, ოხვრა სულისა მტანჯველი. ამ სურათების უკან თვალცრემლიანი მაღალნიჭიერი პოეტი და ხელოვანი გაჰყურებს შორს და იქ ელანდება ოქროს ვარაყებით დაწერილი—,,ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნესო''..

იგი მოკვდა და ოცმა წელმა მოგვიტანა ჩვენ მრავალი რამ და მოგვიახლოვა ის მაგიკური წარწერა, რომელიც ყაზბეგს მის პოეტურ ოცნებაში ელანდებოდა. მრავალი მწარე, მრავალი უბედური დღე გავიარეთ მას შემდეგ მისი და ჩვენი ტანჯული მოძღვრის ტყვიით განგმირული შუბლი გვიწამლავს ჩვენს ოცნებას.

მაგრამ დღითიდღე იზდება ჩვენი იმედი, ჩვენი სასოება, ჩვენი რწმენა, რომ ,,ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოს''. დიდია ჩვენი რწმენა, რომ თუ—

,,აწმყო არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია''.

კიტა აბაშიძე.

# ახალი ამბავი.

ქალაქის საშკოლო კომისიამ დაადგინა პეტერბურგს, სახალხო მასწავლებელთა კრებაზე დასასწრებლათ, მასწავლებელი ქალი ა. ბერეკაშვილის ასული გაგზავნოს. კომისიამ სთხოვს საბჭოს, რომ ბერეკაშვილის ასულს გზის ხარჯათ 15 თუმანი მიეცეს.

✦ ამ მოკლე ხანში დაიწყება ხელის მოწერა ია ეკალაძის ნაწერების მეორე ტომზე. ხსენებულ წიგნს დაერთვის კრიტიკული განხილვა ი. ვართაგავასი, ს. ქვარიანისა და სხვათა. წიგნში მოთავსებული იქნება ავტორის სურათი.

✦ ქუთაისის საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოთ სეანსების გამართვა ელექტრო-თეატრ „რადიუმში" 16 დეკემბრისთვის გადაიდვა.

✦ მთავრობის განკარგულებით გაათავისუფლეს ძმები ვანო და ბესარიონ სალრიშვილები, რომელთაც გადასახლება ქონდათ გადაწყვეტილი.

✦ კვირას, 8 დეკემბერს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოწვეულ „ბავშების მეგობართა" საზოგადოების მიერ მოწვეულ საერთო კრებას ხალხი ძალიან ცოტა დაესწრო.

✦ კვირას, 8 დეკემბერს, ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის დარბაზში ჭლექიანთა დამხმარე საზოგადოების კრება მოხდა.

✦ კვირას, ელექტრო-თეატრ „რადიუმში'' სახალხო უნივერსიტეტის მიერ გამართულ ლექციებს ხალხი ბლომათ დაესწრო ლექციებს კითხულობდენ დ. უზნაძე და გ. გიორგაძე.

✦ შაბათ ღამეს ქუთაისში თოვა დაიწყო და კვირას საღამომდი არ გადაუღია.

✦ საინტერესო ცნობებს იწოდებიან სამტრედიის სამხითვო კასის შესახებ: კასას მოქმედება დაუწყია მიმდინარე წლის 28 აპრილიდან, დღემდი მას 950 წევრი ყოლია, რომელთაგან 500 ნამდვილ წევრათ ითვლება, დანარჩენები კი კანდიდატებათ. შვიდი თვის განმავლობაში 272 წევრი ქალი დაქორწინებულა კასის შემწეობით, რომელთაც 35,780 მანეთი მიუღიათ. სულ კასას ამ ხნის განმავლობაში შემოსავალი ქონია 38,311 მანეთი და 19 შაური.

✦ ნავთლუღში ნაკვეთების შესაძენათ თფილისის ქალაქის თვითმართველობაში კიდევ 500 სომეხს შეუტანია თხოვნა. ზოგი მიწას დესეტინობით ითხოვს.

✦ გაზეთი ,,თემი'' სწერს: ,,რაჭიდან გვწერენ, რომ ახალმა მაზრის უფროსმა კაპიტანმა გამრეკლიძემ სოფ. ქაშქვაში იმის გამო, რომ ხალხი 9 საათის მაგიერ შვადღისას შეიკრიბა, ბოქაულს უბძანა მთელი ყრილობა ,,გაერეკა'' დ. ონში, რომელიც ამ სოფლიდან 12 ვერსის მანძილზე მდებარეობს. ხალხი მიდიოდა დარაჯებით გარშემორტყმული. მაზრის უფროსს თურმე ძალიან უყვირია. მრავალი შეუსაბამო სიტყვაც წარმოუთქვამს''.

✦ ლაილაშიდან იწერებიან, რომ ცეცხლის გამო 1500 სული ადამიანი: ქალები, ბავშები და სხ. უსახლკაროთ, ულუკმაპუროთ, უმწეოთ გარეთ ყრიანო. ცეცხლს განსაკუთრებით ებრაელები დაუზარალებია, ქრისტიანეთაგან 2—3 გლეხი გადამწვარა. მათი გაჭირვება აუწერელიაო იტყობინება ჩვენი კორესპონდენტი. მთავრობას საზოგადოებისთვის მიუმართავს თხოვნით, რომ შეკრიბეთ ვისაც რა შეგიძლიათ, სოფლის სამართველოში მოაგროვეთ და დამწვარ დამწვრებს დაურიგოთ. საჭიროა ფართო საზოგადოება მიაქცევდეს დაზარალებულთ ჯეროვან ყურადღებას.

**შეცდომის გასწორება.**

„ერი"-ს კვირის ნუმერში ცვარ-ნამის ლექსში „ზამთარი" შემდეგი შეცდომა გაგვეპარა ლექსის მეორე ხანაში დაბეჭდილი იყო: „გულს მოხვდა სევდის იარა" უნდა იყოს: „გულს მიხვდა სევდის იარა"!

# სანდრო ყაზბეგი.

**ხატარა მოგონება.**

ერთად ვმუშაობდით ,,დროების'' რედაქციაში. იმ დროს სანდრო ,,ელგუჯას'' სწერდა, ნაწილ-ნაწილათ, ფელეტონებათ. მახსოვს, მცხეთობა იყო. რედაქციაში ვიყავით ილია ხონელი (ბახტაძე), დავით სოსლანი (კეზელი), სანდრო და მე. მცხეთას წასვლა გვინდოდა, მაგრამ ,,დროების'' რედაქციის ოთხ თანამშრომელს ჯიბეში მანეთ-ნახევარი გვქონდა. სანდრო საწერ მაგიდას უჯდა, სწერდა და მის კისერთან, პალტოდან ,,ჟაკოს'' (მაიმუნი) თავი ამოერგო, ჰკვიან, ეშმაკურ თვალებს აყვრიალებდა, ხანაც თათს ამოყოფდა და სანდროს კალამში წაავლებდა, ხან კი ჯერ გაუშრალ ნაწერს გადაუსვებდა: ოოჰ, ჟაკო!—მიუალერსებდა სანდრო, აკოცებდა... ჟაკოც ენას აუსობდა და ღრუტუნით თავს ჩარგავდა სანდროს უბეში...

— სანდრო, როგორაა დღეს მცხეთას ამბავი, ფული იოხტურ!—უთხრა ილიკომ..

— სანდრო, მოდი გავყიდოთ ეგ შენი ,,ჟაკო'' და გავუსვათ მცხეთას!—სთქვა კეზელმა.

— ,,ჟაკოს'' კი ვერ შეელევა, მაგრამ, თუ მოინდომებს, სანდროს შეუძლია—ბილეთებიცა და ფულიც იშოვოს—ვსთქვი მე.

— საიდან, ბიჭო?—მკითხა სანდრომ...

— მიდი ფიდოსთან (ფიდო ყაზბეგი—მაშინ იყო, მგონია, Начальникомъ тяги З. Ж. Д.) და მოგცემს.

— მართლაც, აკი არ გა ახსენდა... მოდის. ბილეთებიც იქნება იქით აქით და ფულიც... მოიტათ ეგ, რაც გაბადიათ და აქ გავაჩენ ყველას. გადავეცით ჩვენი ავლა-დიდება მანეთნახევარი ეტლის ფასათ. ფიდო ყაზბეგი თფ. სადგურთან იდგა. ველით. გავიდა საათნახევარი. ''ჟაკოს'' ჯღავილმა გვამცნო სანდროს მოახლოება...

სანდრო ხელ ცარიელი დაბრუნდა. ფიდო შინ არ დახვედროდა. მანეთ-ნახევარი ეტლს დასჭირდა. იმ დღეს მცხეთობა კი არა, ოთხი თანამშრომელი ერთადერთი ქართული ყოველდღიური გაზეთისა უსადილოთ დავრჩით...

დ. მესხი.

# დღიური.

— ოკტომბრისტები ხომიაკოვი, ოპოჩინინი და სხვები, სათათბიროში ახალ ფრაქციას ადგენენ.

— ჯიოკონდას სურათი საფრანგეთის საელჩოს გადასცეს.

— გალიციის სოციალდემოკრატებმა ავსტრის სოცალდემოკრატთა პალატაში პოლონური კლუბის წინააღმდეგ გაილაშქრეს.

— ლონდონში ფოშტის მუშები გაიფიცენ.

— ლაიპციგში საგენტოს კორესპონდენტმა მარკოვმა რუსეთის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ მოხსენება წაიკითხა.

— დღესასწაულობის გამო სათათბიროს სხდომები 14 იანვრამდი არ მოხდება.

— გერმანია შეპირდა რუსეთს ამერიკასთან მოლაპარაკებას შემდეგ სესხის მიცემას.

# დროა ხელი მოჰკიდოთ კომერციას.

დიდი სიამოვნებით წავიკითხე გაზეთ „ერში" ქუთაისში კომერციული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება.

ბევრი კარგი შეუძლია ამ საზოგადოებას მოუტანოს ჩვენს მხარეს. დროა, მართლაც, რომ ქართველებმა სერიოზულათ ხელი მოკიდონ კომერციას. დიდი ხანია წავიდა ის დრო, როდესაც ქართველებს ვაჭრობა ეთაკილებოდათ და ამჯობინებდენ მიმინოთი ხელში მთელი დღეების ნადირობასა და ქეიფში ტარებას. რას ვხედავთ დღეს? ჩვენი ერის ეკონომიურათ დაქვეითებას; ჩვენს მიწა-წყალზე გასუქებულები და გამძლარნი ჩვენვე გვთელენ და გვავიწროებენ და ვეღარ ვახერხებთ იმათ კონკურენცია გაუწიოთ თუგინდ სიმართლეც ჩვენსკენ იყოს; თუგინდ მაგალითად, ახლა პოლიტეხნიკუმისათვის ადგილის არჩევა ნავთლუღში და სხვა ბევრი ასეთი.

თუ ჩვენ ჩვენი ერის სიკეთე გვინდა, საჭიროა საწარმოო ძალთა განვითარება, ქონების მომატება, შეძენა და არა დაკარგვა იმისა, რაც დღესდღეობით კიდევ შეგვრჩენია.

ახლაც ხშირათ ვგებულობთ გაზეთებიდან, რომ ამა და ამ მემამულემ და ქარხნის პატრონმა ქართველმა თავისი ქონება მიყიდა „ბაღდასარ-კარაპეტს" ან სხვა ვისმე; ეს რომ არ მოხდეს საჭიროა ამგვარ მოვლენებს შევებრძოლოთ და ამისთვის კი საჭიროა იარაღათ სწავლა, შრომა და ენერგია; საჭიროა ამნაირი საზოგადოების ხელის შეწყობა, მხარის დაჭერა და მაშინ შეიძლება მასაც გამაგრება და დიდი სარგებლობის მოტანა თავისი მხარისთვის. აქ მოსკოვში არსებობს სწორეთ ამნაირივე საზოგადოება: ,,მოსკოვის კომერციული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება.'' ამ საზო-

# საქართველო,

**როგორც ეთნოგრაფიული და ეკონომიური ერთეული.**

რატომ დაკარგეს იუდეელებმა ტერიტორია? ჯერ რომის რესპუბლიკის ჯარები (პომპეი, კრასი) ანადგურებდენ პალესტინას. 65 წელს იუდელნი აჯანყდენ. იმპერატორმა ვესპასიანმა და მისმა შვილმა ტიტმა 67—70 წლებში ორ მილიონამდი იუდეელი გაჟლიტეს. შემდეგ იუდეელთა ნაშთი კვლავ გამრავლდა, გადახვეწილი იუდეელნიც დაბრუნდენ სამშობლოში და პალესტინა კიდევ შეიქნებოდა იუდეათ, რომ რომაელებს არ გამოეწვიათ აჯანყება (133 წ. იმპერატორის ადრიანის მეფოვის დროს). აჯანყება მალე ჩააქრეს. ადრიანმა დაასახლა იუდეაში წარმართნი. ამ გარემოებამ კვლავ გამოიწვია იუდეელთა აჯანყება, რომლის მეთაურობაც თავს იდვა ფანატიკოსმა ბარკოხებამ, ანუ ბარ-ხოზბამ (მესიათ აღიარებდა თავს და რაბინებმაც აღიარეს). და რომის უკეთესმა სარდალმა იული სევერმა სამი წლის განმავლობაში ძლივს ჩააქრო აჯანყება (135 წ.). ამ ომში 900.000 იუდეელი იქნა მოკლული, ბევრი გასწყდა აგრეთვე შიმშილითა და ავათმყოფობით, რომაელმა ჯარებმა დაანგრიეს და დასწვეს 50 გამაგრებული ქალაქი და 985 სოფელი და სიკვდილით დასჯით დაემუქრენ იმ იუდეელს, რომელიც კი გაბედავდა პალესტინაში დასახლებას (იხ. „შლოსერი" და სხ.).

ამგვარად მოელო ბოლო იუდეელთა პალესტინას. მაშასადამე, ერი თავისი ნებით არაოდეს არ შეელევა, არ მიატოვებს ტერიტორიას, თუ ის ძალით არ აყარეს ან არ გასწყვიტეს. ამ აზრს ამოწმებს თვით შპრინგერი ავსტრიის ისტორიის მაგალითით: ის ამბობს: 800 წლის განმავლობაში ეთნოგრაფიული ურთიერთობა ავსტრიისა არ შეცვლილაო. რატომ? უთუოდ იმიტომ, რომ არ ყოფილა ისეთი საშინელი ძალმომრეობა, რომელიც იხმარეს რომაელებმა იუდეელთა წინააღმდეგ. კაპიტალიზმს კი არ შეუძლია აყაროს ხალხი.

ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას შეუძლია გარეკოს სამშობლოდან მხოლოდ ზედმეტი, მოჭარბებული რიცხვი მცხოვრებთა და არ შეუძლია ეთნოგრაფიულისა, ეროვნული შედგენილობის შეცვლა. თუ ჭირმა არ გასწყვიტა ან ძალით არავინ აყარა ქართველები, საქართველო ეთნოგრაფიულად საქართველოდვე დარჩება: და წავიდა ის დრო, ხალხის აყრა და ამოგდება რომ შეიძლებოდა. ამას ევროპის საჰილმწიფოთა თანამედროვე ურთიერთობა უშლის ხელს.

და, რომელ ერსაც დღემდი არ გამოსცლია ხელიდან ტერიტორია, მას ამ მხრით შიში აღარ მოელის.

როგორ, რა საშუალებით შეარჩინა ქართველმა ერმა ტერიტორია? იმით, რომ არც სპარსეთსა და არც ოსმალოთ არ შესწევდათ იმდენი ძალა, რომ ქართველი ერი გაეჟლიტათ და გაებნიათ, როგორც რომაელებმა გაჟლიტეს და გააბნიეს იუდელნი. მართალია, ხშირათ შემოესევოდენ ხოლმე საქართველოს, მაგრამ ქართველებიც თავისი მხრით მუსრს გაავლებდენ ხოლმე მათ ბრბოებს და აუძლურებდენ მათს პოლიტიკურსა და ეკონომიურ ძალას. ოსმალოთ მხოლოდ ის შესძლეს, რომ სარწმუნოება შეაცვლევიეს ქართველი ერის ნაწილს, მაგრამ მიწა კი ვერ გამოაცალეს ხელიდან, რადგან ამისთვის, როგორც ვსთქვით, არ შესწევდათ არც კულტურული ძალა და არც სამხედრო. და როგორც მიწის მუშები, ქართველები თათრებსაც სჯობნიან და სომხებსაც. ამიტომ ქართველ ერს ქრისტეს შობას შემდეგ საუკუნეთა განმავლობაში ბინა არ გამოუცვლია; იქვე დარჩა, სადაც ცხოვრობდა.

მართალს ამბობს შპრინგერი: გლეხების დენაციონალიზაცია, ეროვნული გადაგვარება კულტურული გზით შეუძლებელია.

**ტერიტორია და მცხოვრებნი.**

საქართველოს უჭირავს ტერიტორია: თფილისის გუბერნიისა, ზაქათლის ოლქისა, ქუთაისის გუბერნიისა, სოხუმის ოლქისა, ბათუმისა და ართვინის ოლქებისა, ყარსის მხრის არდაგნისა და ოლთისის ოლქებისა და ნაწილი თვით ყარსის ოლქისა. ზომა ამ ტერიტორიისა იქნება დაახლოებით 80,000 კვ. ვერსი.

აქ ჯერ არ შევეხები, რა მხრით ეკუთნის საქართველოს ბორჩალოს მაზრა და არდაგნისა და ოლთისის ოლქები: ამაზე შემდეგ მექნება ლაპარაკი.

1897 წ. საყოველთაო აღწერით ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდა სულ 2,158,776 კაცი (ამ ანგარიშში არ შედის ყარსის პატარა ნაწილის, ერუშეთის, მცხოვრებთა რიცხვი), მათ შორის 1,431,450 ქართველი, 224,555 სომეხი, რუსი სხვა სლავებითურთ ასი ათასზე ცოტათი მეტი და ოსი 71,508, მაშასადამე, ქართველი იყო 66%-ზე ცოტათი მეტი, სომეხი მხოლოდ 10%, რუსი 4% და ოსი 3%. როგორც აქიდან ჩანს, საქართველოში არეული და „გათქვეფილი" არ ყოფილან ერები: საქართველო, პირიქით, ეთნოგრაფიულად ქართველების ქვეყანაა. მხოლოდ სომხები შეადგენენ 10%-ს, მაგრამ ეს ათი პროცენტიც გაბნეულია და თითქმის არსად არ არის დასახლებული მჭიდროთ.

მაგრამ შეიძლება სთქვან, სომხები თფილისის გუბერნიაში შეადგენენ დიდ პროცენტსო. ვნახოთ. თფილისის გუბერნიაში და ზაქათალის ოლქში იყო სულ 1.051.032 მცხოვრები, მათ შორის კი სომეხი—196.189, მაშასადამე 18%. და, ცხადია, თვრამეტი კაცი როდესაც ას კაცთან ცხოვრობს, ძალუნებურათ ითქვიფება. და, მართლაც, განა გაქართველებული არ არიან საქართველოს სომხები ენით, ზნითა და ჩვეულებითა და, ასე გაშინჯეთ, სისხლითაც.

არ არის გაქართველებული მარტო ბორჩალოსი და ახალქალაქის მაზრების სომხობა. მაგრამ მათი რიცხვი ასიათასსაც არ უწევს! ეს ასი ათასი სომეხი გამხდარა ჩვენი ესდეკების თვალში გადაუვალ დაბრკოლებათ საქართველოს პოლიტიკური იდეიალის განხორციელების წინააღმდეგ!

ცხადია, ერთნახევარი მილიონ კაცის ინტერესი არ უნდა შეეწიროს სხვერპლათ ასიათასი კაცისას. და, თუ კი ერთი ერის მიერ თავისი ეროვნულ-პოლიტიკური უფლების მოპოება არ მოასწავებს ეროვნული უმცირესობის ჩაგვრას, როგორც ჩვენს „ესდეკებს" გონიათ, მაშინ ხომ ეკარგება წონა და ღირსება ყოველსავე დებულებას, რომელსაც კი საქართველოს პოლიტიკური იდეალის წინააღმდეგ ხმარობენ!

მერე კიდევ, ოფიციალურ სტატისტიკას ერთობ გაუზვიადებია სომეხთა რიცხვი.

ამ ათი წლის წინათ ზაქარია ჭიჭინაძეს დაუვლია ჯავახეთის (ახალქალაქის მაზრის) სოფლები და თვითონ შეუდგენია სტატისტიკა. სულ ყოფილა იქ 19 სოფელი, სადაც ცხოვრობდენ ქართულათ მოლაპარაკე ქრისტიანები. და ამ 19 სოფელში ყოფილა 946 ოჯახი. აქიდან ადვილი გამოსაანგარიშებელია მცხოვრებთა რიცხვი. რადგან ჯავახეთელის ოჯახში საშვალო რიცხვით თუთხმეტი სულზე ნაკლები არ არის, საერთო რიცხვი ქრისტიან ქართველთა უნდა ყოფილიყო, მაშასადამე, 14.190. მაგრამ ეს რიცხვი კიდევ უნდა გავადიდოთ, რადგან ყველა სოფელი არ აუწერია (იხ. მისი წიგნი: „მუსულმანი ქართველები და მათი სოფლები საქართველოში", გვერდი 218). მაშასადამე, დაახლოებით 20.000 მაინც უნდა ყოფილიყო ქრისტიანი ქართველი. ოფიციალური სტატისტიკა კი გვეუბნება, ახალქალაქის მაზრაში მარტო 6.44 ქართველიაო. ცხადია, რომ ეს ციფრი სწორი არ არის, და, ოფიციალური სტატისტიკა რომ აღნიშნავს ამ მაზრაში 6.572 თათარს, კარგათ ვიცით, რომ იქაური „თათრები" ტომით ქართველები არიან. და, ქართველების რიცხვი თუ 26.448 იყო, მაშინ სომხების რიცხვი 39.000 უნდა ყოფილიყო და არა 52.539, როგორც გვეუბნება ოფიციალური სტატისტიკა. დღეს კი, როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, ქართველ მაჰმადიანთა რიცხვი იქ ერთი სამათ მეტი ყოფილა, რადგან ბევრი გადასახლებული დაბრუნებულა ოსმალეთიდან. ცნობებს ამის შესახებ მალე გამოვაქვეყნებთ.

ამგვარად ზაქარია ჭიჭინაძის მიერ აღნიშნული სოფლების მცხოვრებთა რაოდენობის შეუფერებლობა ოფიციალური სტატისტიკის ციფრთან და ამ სტატისტიკის მიერვე ქართველების თათრებად აღნიშვნა მოწმობს, რომ ახალქალაქის მაზრის სტატისტიკას შემოწმება სჭირდება.

გადოებას ქალ ვაჟთათვის აქვს გახსნილი რამდენიმე საშვალო და დაბალი საკომერციო შკოლა; დღეს ამ საზოგადოებამ შესძინა მთელს რუსეთს ერთი საუკეთესო უმაღლესი სასწავლებელი, კომერციული ინსტიტუტი, სადაც საქმე სამაგალითოდ არის დაყენებული; ყავს მოწვეული მთელს რუსეთში საუკეთესო, პროფესორები და თავისი პატარა ხნის არსებობის ხანაში მიიზიდა ბევრი ახალგაზდობა; დღესდღეობით ამ ინსტიტუტში ექვსი ათასამდი სტუდენტია.

პირველათ ქართველები ძალიან ცოტა იყვენ და დღეს კი ვხედავთ, რომ ქართველ ახალგაზდობაში გაღვიძებულა ამნაირ სასწავლებელში სწავლის შეძენის საჭიროება და უკვე ას კაცამდი აიწია ამ სამი წლის განმავლობაში მათი რიცხვი. იმედია, ეს ყმაწვილები აქ სწავლის დასრულებას შემდეგ, ხელს შეუწყობენ იმ საზოგადოებას, რომელიც ახლა ქუთაისში დაუარსებიათ რამდენიმე პატივცემულ პირთ, როგორც სპეციალურათ მომზადებულნი ამ ასპარეზზე. ჩვენმა ახალმა საზოგადოებამ იქნება ასე ფართოდ ვერ გაშალოს ფრთები, როგორც მოსკოვისამ, რომელსაც აქვს რამდენიმე მილიონის ქონება, აქაური ვაჭრებისა და ფაბრიკანტების გულუხვი შემოწირულობის გამო, მაგრამ ჩვენ ჯერ ცოტას დავჯერდებით და შემდეგ შეგნებული კომერსანტების წყალობით, შეიძლება, ჩვენმა საზოგადოებამაც ისე მოიკიდოს ფეხი, როგორც მოსკოვისამ; და დღეს თუ ჩვენ არ გვყვანან კაპიტალისტიბი; თუ ჩვენ კუთხეში ფაბრიკა-ზაოდებს ფეხი ვერ მოუკიდია და ჩვენი მადნებით, მიწითა და ჩვენი ქვეყნის ბევრი სხვადასხვა სიმდიდრით სხვა ერის ხალხი სარგებლობს: საჭიროა, ყველა ეს ჩვენს ხელში იყოს და ისევ ჩვენს გაჭირვებულ ხალხში განვითარდეს და მას მოხმარდეს.

ჩვენში კოოპერატიული საზოგადოება იკიდებს ფეხს, რაც სასიამოვნო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ამისთვის კი საჭიროა მომზადებული კადრი, აღჭურვილი თეორეთიულად და პრაკტიკულათ, რომ ამათ კარგათ გაუძღვენ საქმეს, კარგათ წაიყვანონ და დაანახონ ხალხს ამ საქმის სარგებლობა, ნდობა მისი არ დაუკარგონ. ასეთი პირნი კი ძალიან ცოტა გვყავს, მაშასადამე, გვჭირდება მომზადებული პირნი და სწორეთ ეს შეუძლია იმ საზოგადოებას, რომელიც დღეს დააარსეს ქუთაისში, რომ აღზარდოს ამგვარი ტიპის შკოლებში, ამნაირათ მომზადებული შვილები.

დასასრულ უსურვებ ამ საზოგადოებას აყვავებას, დღეგრძელობას, და მოვუწოდებ საზოგადოებას ხელი შეუწყოს და დაეხმაროს მას.

**მოსკოვი.** სტ. ირ. ვ. წ—ლი.

## შავიქვის მრეწველთა XVI მორიგი კრება.

**შაბათი, 7 დეკემბერი.**

კრება გაიხსნა დღის თორმეტ საათზე ოლქის ინჯინერის ა. ა. ცეიტლინის თავჯდომარეობით. კრებაზე გამოცხადდა 22 გადამწყვეტი ხმის მქონი მრეწველი: ერთხმათ აირჩიეს მდივნათ ბ. დავით მდივანი; კრებამ აირჩია თერთმეტი კაცისაგან შემდგარი ფინანსიური და ხმის გამანაწილებელი კომისია. გ. **ზდანოვიჩმა** კრებას მოახსენა, რომ წინა კრების კომისიებს თანახმათ კრების დადგენილებისა სასყიდელს ვაძლევდით, ამით წევრებს შრომას ვუფასებდით, მაგრამ ეს ჩვენი მოქმედება ახლა უკანონოთ სცვნესო. საბჭოს თავჯდომარე სთხოვდა კრებას, დაედასტურებიათ—კომისიას მიეცეს სასყიდელი, თუ არა? ბ. **შაშავა** სასყიდლის მიცემის წინააღმდეგია. ამჟამათ ყველა მაინც აქა ვართ და არავითარი სასყიდელი არ გვესაჭიროებაო. **კიტა აბაშიძის** აზრით სხდომა დღეში ერთხელ განსაზღვრულ დროს არის, კომისიის წევრები კი ვალდებული არიან დილიდან საღამომდი ისხდენ და იმუშაონ. **სიმ. წერეთელი:** პაპავა იმიტომ უარყოფს სასყიდლის მიცემას, რომ ის ამ ორ დღეს შემდეგ წავა, ჩვენ კი იძულებული ვიქნებით, აქ ვიმუშაოთ და შრომა ყველას უნდა დაუფასდეს, თვარა მე პირველი უარს ვიტყვი კომისიის წევრობაზეო. კრებამ ხმის უმეტესობით დაადგინა:—მიეცეს სასყიდელი დღიურათ კომისიის წევრთ: მოსულთ ათი მანეთი და ქუთაისში მცხოვრებთ ხუთი მანეთი. კრება შესწყდა თუთხმეტი წამით სამუშავრის განაწილებლათ. კრების განახლებისას მცირე კამათს შემდეგ პროგრამის მუხლებზე, საბჭოს თავჯდომარემ გ. ფ. ზდანოვიჩმა საბჭოს 1912 წლის საბჭოს მოქმედების ანგარიში წაუკითხა. დაშავებული მუშების თაობაზე ბ. **შაშავამ** განაცხადა: ასეთი მუშების რიცხვი სამი წელიწადია იზდება, მიზეზათ დაასახელა ის გარემოება, რომ წინა წლებში მუშები ექიმის დახმარებას გაურბოდენ, ახლა კი მუშამ კმარა თითი იტკინოს, ექიმს მიაშველებს. **დ. გაფრინდაშვილი:** დაშავებული მუშების მდგომარეობა უნუგეშოა, მუშა სამი-ოთხი წელიწადი ცოდვილობს და ცნობებს ვერ ღებულობს ინჯ. ავდეევისა და ადმინისტრაციისაგან; საჭიროთ სთვლის აგენტის დანიშვნას დაშავებული მუშების დასახმარებლათ. თავჯდომარემ განმარტა: დაშავებულ მუშებზე ზრუნვა მრეწველების მოვალეობას შეადგენს. ანგარიშის დასრულებას შემდეგ, კრება დაიხურა დღის 2 საათზე. შემდეგი სხდომა კვირას, 12 საათზე.

**კვირა, 8 დეკემბერი.**

მდივანი კითხულობს წინა დღისო ქმს, რომელსაც კრება ერთხმათ ამტკიცებს. გადადიან (6 მუხ.) მდ. ყვირილის გაბინძურების დაცვის საკითხზე. გ. **ზდანოვიჩი** ვრცლათ აცნობს მრეწველთ საქმის ვითარებას. საქმე დაბოლოებულა მით, რომ ბიბიკოვის თავჯდომარეობით შემდგარა კომისია, რომელსაც შეუმუშავებია მოხსენება, რომ გადაკეთებულ იქნას ერთი წლის განმავლობაში, მოხსენების დამტკიცების დღიდან სარეცხი ხავოდები ისე, რომ ნარეცხი ყვირილაში არ გადიოდეს. მანამდი კი ნარეცხი კვირაში ერთ დღეს გაუშვან. მოხსენებას არ დათანხმებიან საბჭოს წარმომადგენელნი—გ. ზდანოვიჩი და პერსენაკი. მათი აზრით:—გადაკეთდეს სარეცხი იმგვარათ, რომ ნარეცხი 1 მაისიდან 15 წიფობისთვემდი არ მისცენ მდ. ყვირილას; დანარჩენ თვეებში კი მიეცნესთ ნება, რადგან მდინარე უმისოთაც კი მღვრიეა. გ. **აბაშიძე**. კომისიაში მიუღია მონაწილეობა იმგვარ პირებს რომელთაც ნდობებიათ საქმის ვნებ. ა არ ქონიათ დავალება საზოგადოებიდან და თავის სურვილით გამოცხადებულან; კომისიის თავჯდომარეს მათთვის არავითარი რწმუნებულობის ბარათი არ მოუთხოვია. საბჭო პირდება საზოგადოებებს: წყაროებისა და ჭების გაკეთებას, სარწყავი არხის გაყვანას, ვილაცების ჩაგონებით მცხოვრებლები ამ მათთვის სასარგებლო წინადადებას უარყოფენ და ეს ვაჟბატონები კომისიაშიც იღებენ მონაწილეობას. საჭიროთ ცნობს აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, შესდგეს ხელახალი კომისია, უფრო ფართო, რომელშიც შევა ყოველი დარგის წარმომადგენელი. კრებამ ერთხმათ დაადგინა: აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ შესდგეს ამ საკითხის გამოსაკვლევათ, უფრო ფართო ხასიათის კომისია. მთავრობამ თუ ეს მოთხოვნილება არ დააკმაყოფილოს, იმ შემთხვევაში 1 მაისიდან დაწყებული 15 ოკტომბრამდი ნარეცხი არ მისცენ მდ. ყვირილას, მხოლოდ სხვა თვეებში. კი გვქნეს ნება, ნარეცხის გაშობისა ვინაიდან მდინარე ამ თვეებში უმისოთაც მღვრიეა. კრება გაეცნო ჯერ ინჯ. ჩერნიავსკის და შემდეგ მიხაილოვის წინადადებებს, როგორ შეიძლება მოგვარდეს სარეცხების გადაკეთება ისე, რომ მდ. ყვირილა არ ბინძურდებოდეს. ამ პროეკტების განხილვა არსებითად შემდეგი სხდომისთვის გადაიდვა. კრება შეუდგა 7 მუხლის განხილვას—ჭიათურაში ქიმიური ლაბორატორიის დაარსების საკითხს. გ. **ზდანოვიჩი:** ბევრი საგანი პროგრამაში შეტანილია მრეწველების სურვილით, ათი მრეწველი თუ ხელს აწერს რომელიმე საკითხის აღძვრას საზოგადო კრების წინაშე, საბჭო, თუ გინდ არ თანაუგრძნობდეს, ვალდებულია, შეიტანოს პროგრამაში, ამგვარ საკითხთა კატეგორიას ეკუთნის ეგ საკითხიც; ჭიათურაში ქიმიური ლაბორატორია საბჭოს სამოქალაქო შკოლასთან აქვს მოწყობილი, სპეციალისტი ლობარანტიც ყავს მოწვეული, ბ-ნი ბურჯანაძე და თუ რაიმე ხელსაწყო გვაკლია, ამასაც მოვეელით. **ჭანიშვილი.** წვრილი მწარმოებლებისათვის საკუთარი ლაბორატორია აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. დღეს უანალიზოთ მადანს არვინ ყიდულობს; იძულებული ვხდებით მივმართოთ სხვილ მრეწველთ და ისინი თავისებურათ გვეუბნებიან. სამოქალაქო შკოლის მოწაფეებს რო ანალიზი მივანდოთ, არ გვენდობიან მაინც. შეიძლება მოვიწვიოთ საშვალო ცოდნის მქონე ლაბორანტი, რომელიც ბურჯანაძის ხელმძღვანელობით მოახდენს ანალიზს.

**ა. გამრეკელი.** აუცილებელი საჭიროა ლაბორატორიის დაარსება, იქ მოხდენილი ანალიზი ყველა მყიდველთათვის სავალდებულო იქნეს. წვრილმა მრეწველებმაც იცოდენ მადნის ღირსება-ნაკლულევანება; სხვილი მრეწველები რამდენიც უნდათ, იმდენს გვეუბნებიან, თვითაც დაუფარავათ ამბობენ, ჩვენ 2 პროც. ნაკლებს ვანგარიშობთო. გ. **აბაშიძე.** ჩვენს ანალიზს საზღვარგარეთ მაინც არ დასჯერდებიან, გვეტყვიან სხვა მადანი გამოგიგზავნიათ, ეს პირობის საქმეა. **ს. გ. წერეთელი.** ჯერ კიდევ სტუდენტათ ვიყავი, როცა სიეზდმა 50000 მან. გადასდვა ლაბორატორიის მოსაწყობათ და პროფესორ პეტრიაშვილთანაც ქონდა მოლაპარაკება, მაგრამ რა მოსაზრებით, არ ვიცი, საქმე მიყუჩდა. ეს საკითხი ხელმეორეთ იქნა აღძრული 13 თუ 14 სიეზდზე. აირჩიეს კომისია, იმ კომისიაში მოვხვდი მეც. კომისიის წევრები იმ დასკვნამდი მივედით, რომ ჭიათურაში ლაბორატორიის დაარსება დიდ ხარჯებს გამოიწვევდა. მარტო ქვისთვის უნდა ექნა ანალიზი, სამუშავრი ცოტა იქნებოდა და საჭიროა მოვუცადოთ იმ ლაბორატორიის მოწყობას, რომელიც საბჭოს აქვს აზრათ და მეტი ჩვენ არ დაგვჭირდება. კრებამ დაადგინა ეს საკითხი გადაეცეს ფინანსიურ კომისიას. სხდომა დაიხურა 2 ნახევარ საათზე.

შემდეგი სხდომა ორშაბათს.

# დეპეში.

(პეტ. დეპ. სააგ).

### რუსეთი.

**პეტერბურგი.** ავსტრო უნგრეთის საქმეთა რწმუნებულმა ჩერნიკმა ფრანც იოსების მეფობიდან 65 წლის შესრულების გამო ვახშამი გამართა და მეფის სადღეგრძელო სიტყვა წარმოსთქვა.

**სევასტოპოლი.** [illegible] მიმოსვლა შეჩერებულია.

**ჩელიაბინსკი.** 1 [illegible] დეკემბრამდი ციმბირში გადასახლდა 1352 ხოდოკი და 865 კერძო კაცი, ხოლო უკან დაბრუნდა 557 ხოდოკი და 583 კერძო პირი.

**ნოვოჩერკასკი.** სამხედრო ოლქის სასამართლოში 17 ყაჩაღის საქმის გარჩევა დაიწყო. ეს ყაჩაღები 1911—12 წლებში ტაგანროგის ოლქს სცარცვავდენ. სასამართლოში მოწვეულია 121 მოწმე.

### უცხოეთი.

**რომი.** ჯიოკონდას სურათი მოთავსებულია სპეციალურათ ამისთვის გაკეთებულ უჯრაში. სურათი ცალკე ვაგონით მოაქვთ და სახალხო განათლების სამინისტროს ბინაზე მიიტანენ. იქ სურათს დაათვალიერებს მეფე და შემდეგ საფრანგეთის ელჩს გადაეცემა.

**მადრიდი.** მაროკოდან ცნობაა —მკვიდრი მცხოვრებლები თავს დაესხენ ესპანიის გარნიზონსო; ესპანელებს ორი მოუკლეს და 11 დაუჭრეს.

**თავრიზი.** რუსეთის წინააღმდეგ აგიტაცია შესამჩნევათ შესუსტდა. აგიტაციის შესუსტება სამხედრო პატრულების დანიშვნამ გამოიწვია.

**ლაიპციგი.** სავაჭრო პალატის თხოვნით პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტმა მარკოვმა რუსეთის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ მოხსენება წაიკითხა. მოხსენების წაკითხვას სავაჭრო პალატის ათასამდი წარმომადგენელი დაესწრო. პალატის სახელით კოკოვცოვს დეპეშა გაუგზავნეს და გამოსთქვეს სურვილი რუსეთ-გერმანიის დამოკიდებულების გაუმჯობესებისა.

**ათინა.** დარჩენილი ბულგარლების სამხედრო ტყვეები გაათავისუფლეს.

**პარიზი.** რადიკალ დეპუტატმა სთქვა: ვინაიდან ბარტუს კაბინეტმა სერბია-რუსეთის რკ. გზ. სესხის ფორმალური ვალდებულება მიიღო. დღევანდელი კაბინეტი ვალდებულია ეს ვალდებულება შეასრულოს.

მერტფილეს გაფიცულ მუშებმა ამ უკანასკნელ თვეებში რამდენჯერმე მოახდინეს არეულობა. გაფიცული მუშები ჩადიოდნენ ძალმომრეობასაც.

**სოფია.** ოფიციოზი „ხალხის უფლება“ მიწის მოქმედთა კონგრესის გამო სწერს: იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კონგრესი ხელმძღვანელობას გაუწევს დროის მოთხოვნილებას და დაადგება დათმობის პოლიტიკას. ბულგარეთი რადიკალურ რეფორმებს საჭიროებს და აგრეთვე ძლიერ მთავრობასაც, საგარეო პოლიტიკის გასამაგრებლათ.

**ტოკიო.** იაპონიისგან რკინის გზის საჭიროებისთვის სესხის აღებას ხელს უშლის ევროპის ბირჟებისაგან ბალკანეთის სახელმწიფოებისთვის სესხის მიცემა.

**პარიზი.** ჟურნალი „დედება“ აღნიშნავს დელ კასეს სამსახურიდან გადადგომის ხმებს და მწუხარებას გამოსთქვამს საფრანგეთის ელჩითა ძგრე ხშირათ ცვლის გამო.

**ლვოვი.** „პოლონური სიტყვა“ აქვეყნებს რიგს საბუთებისას უკრაინელთა სახალხო კომიტეტის გერმანიის კავშირთან დამოკიდებულების შესახებ.

**ვენა.** დეპუტატთა პალატაში მსჯელობდენ სტატისტიკის საქმეზე მინისტრი პრეზიდენტის პასუხის შესახებ. მსჯელობაში მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ გალიციის პარტიათა წარმომადგენლებმა. გალიციის პარტიის სოციალ დემოკრატ ორატორებმა პოლონური კლუბის წინააღმდეგ სასტიკათ გაილაშქრეს.

**სტამბოლი.** უსაღსრობის გამო მთავრობა ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. საფრანგეთისაგან აღებულმა სესხმა მოხელეთა ჯამაგირები ძლივს გაანაღდა.

**ლონდონი.** 10 დეკემბერს (ახალი სტილით) მეფე პარლამენტს თვით გახსნის.

**რომი.** „სტეფანი“ იტყობინება „ბკოდენარის“ ცნობა, ვითომც ტიტონს გაეცხადებინოს საფრანგეთის მთავრობისათვის, რომ იტალია თანახმაა ხიასი და მიტელენი საბერძნეთს შეუერთდესო, ტყუილი გამოდგა. იტალიას ინგლისის წინადადებას შესახებ თავის აზრი ჯერ კიდევ არ გამოუთქვამს.

## დაბა სოფელი.

**ქ. ოზურგეთი** (გურია). მოსაწყენია,

---

თუმცა კი, რასაკვირველია, დაჭეშმარიტებით არაფერის თქმა არ შეგვიძლია. შეიძლება, შეუმცდარი, სწორი, მართალიც იყოს ოფიციალური სტატისტიკა. ჩვენ მხოლოდ ეჭვი დაგვიბადა ზაქარია ჭიჭინაძის გამოკვლევამ, რომელიც ნებას გვაძლევს ვსთქვათ: ჯერ არ ვიცით, ქართველთა რიცხვი მეტია თუ სომეხთა რიცხვი ახალქალაქის მაზრაში, და საჭიროთ ვსთვლით ოფიციალური სტატისტიკის შემოწმებას.

მაგრამ, ვსთქვათ, მართალია ოფიციალური სტატისტიკა. თფილისის გუბერნია ზაქათალის ოლქითა და ბორჩალოსი და ახალქალაქის მაზრებით მაინც საქართველოდ უნდა აღვიაროთ, რადგან სულ ითვლება 1.051.032. მცხოვრებს და მათ შორის ქართველი 527.285, ე. ი. 51,6% (ამ რიცხვში ქართველი მაჰმადიანებიც შედიან). და რასაკვირველია, როდესაც რომელსამე ქვეყანაში ერთი ერი 51,6%-ს შეადგენს, მეორე კი მხოლოდ 18%-ს, როდესაც იმავე დროს ამ ერთი ერის ენაზე ლაპარაკობს თითქმის ყველა, როდესაც ეს მეორე ერი, რომელიც 18%-ს შეადგენს, გაფანტულია, გაბნეულია მთელ გუბერნიაში და შეუთვისებია მთავარი ერის ენა, ზნე და ჩვეულებანი, ეს ქვეყანა, ცხადია, ეთნოგრაფიულად ამ მთავარ ერს ეკუთნის.

ახლა განვიხილოთ მაზრები. ცალცალკე.

თფილისის მაზრაში თფილისითურთ ქართველია 34,7%, სომეხი 24,7%. მაგრამ სომეხთა რიცხვი იმიტომ არის აქ ამდენი, რომ ისინი უმეტესათ ქალაქში ცხოვრობენ. და, ქალაქი რომ გამოვრიცხოთ, თფილისის მაზრაში 39,289 ქართველი იქნება, ე. ი. 52% და მხოლოდ 10,800 სომეხი, ე. ი. 14%. მაგრამ ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი ცვალებადია. თვით თფილისში ქართველთა რიცხვი თანდათან მატულობს, რადგან ქართველობაც გამოვიდა სავაჭრო მოედანზე. უკანასკნელი საქალაქო არჩევნის დროს დამტკიცდა, რომ სავაჭრო მოწმობათა რიცხვი ქართველებს მეტი ქონდათ, ვიდრე სომხებს. ეს სიმპტომატიური მოვლენაა. და მალე იქნება ის დრო, როდესაც თფილისი ეთნოგრაფიულად ნამდვილი ქართული ქალაქი იქნება. თფილისის მაზრაში კი ქართველთა რიცხვი ახლაც იმდენათ აღემატება სომხებისას, რომ, თფილისიც რომ მივუმატოთ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მაინც გაცილებით მეტი იქნება რიცხვი ქართველთა, ვიდრე სომეხთა.

მაშასადამე, თფილისის მაზრა დღესაც კი ქართველი ერით დასახლებულ კუთხეს წარმოადგენს.

გორის მაზრაში ქართველია 65,3%, სომეხი 4%. ოსი 26,1%, მაშასადამე, გორის მაზრაც საქართველოს ნაწილია ეთნოგრაფიულად. მართალია, იქ 26,1% ია ოსი, მაგრამ ოსთა დიდი ნაწილი გაფანტულია ქართველთა შორის და მხოლოდ ერთი ნაწილია დასახლებული მჭიდროთ.

სიღნაღის მაზრაში ქართველია 82,9%, სომეხი 6,2%, თათარი 5,1%, რუსი 4,8%.

თელავის მაზრაში ქართველია 86,0%, სომეხი 7,1%.

თიანეთის მაზრაში ქართველია 88,7%, სომეხი 1,8%, ჩაჩანი 7,0%.

დუშეთის მაზრაში ქართველია 73,5%, ოსი 21,4%, სომეხი 2,5%.

ახალციხის მაზრაშია სულ 68.837 მცხოვრები. ოფიციალური სტატისტიკა აღნიშნავს 24,137 თურქს, 12,370 თათარსა და 12,213 ქართველს. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ, ვინც თურქადა და თათრად სწერია, მაჰმადიანი ქართველია. მაშასადამე, ქართველთა რიცხვი უნდა ყოფილიყო სულ 51,494=75%. სომეხნი კი შეადგენდენ მხოლოდ 22%-ს. მაშ ახალციხის მაზრაც საქართველოს ნაწილს წარმოადგენს ეთნოგრაფიული მხრით.

ზაქათალის ოლქში იყო 84,224 მცხოვრები. ინგილოები თათრებად არიან აღნიშნული, თუმცა ქართველები არიან. მაშასადამე, იქ ყოფილა, სულ 41,344 ქართველი ანუ 49%-ი ლეკი 47,1% და სომეხი 2,5%. მაშასადამე, ამ მაზრაშიც ქართველთა რიცხვი სჭარბობს.

დარჩა ბორჩალოს მაზრა, სადაც ქართველები შეადგენენ მხოლოდ 6,1%-ს (7.863). სომხები 36,8% (47.423) და თათრები 29,3% (37.393). სულ იყო აქ 128.587 მცხოვრები. მაშასადამე, მარტო ეს ერთი მაზრა არ წარმოადგენს ეთნოგრაფიული საქართველოს ნაწილს, მაგრამ არც ეს მაზრაა სომხური, არამედ სომხურ-თათრულია.

რაც შეეხება ახალქალაქის მაზრას, ოფიციალური სტატისტიკით იქ იყო სულ 72.709 მცხოვრები, მათ შორის სომეხი 52.539, ე. ი. 72,2%, ქართველი (მაჰმადიანი და ქრისტიანი) 13.020, ე. ი. 17%, რუსი კი 7,5%. მაშასადამე, თუ დავუჯერეთ ოფიციალურ სტატისტიკას, არც ახალქალაქის მაზრა შეიძლება ჩავსთვალოთ ეთნოგრაფიული საქართველოს ნაწილათ.

მაშასადამე, თფილისის გუბერნიის შვიდი მაზრა და ზაქათალის ოლქი წარმოადგენენ ერთნოგრაფიული საქართველოს ნაწილს, სადაც მცხოვრებთა რიცხვი უდრის 849,736-ს. მათ შორის ქართველია 518,774, ე. ი. 61%-ზე ცოტათი მეტია, სომეხია მხოლოდ 96,177, ე. ი. 11%, ოსი 67,268, ე. ი. 7%, რუსი 70,973, ე. ი. 8%.

აქიდან ცხადათ ჩანს, რომ თფილისის გუბერნია, ბორჩალოსი და ახალქალაქის მაზრა რომ გამოვაკლოთ, საქართველოს ნაწილია ეთნოგრაფიული მხრით, რადგან ქართველთა რიცხვი შეადგენს 61%-ს, და დანარჩენ ერებს შორის მარტო სომეხთა რიცხვი ადის მხოლოდ 11%-მდი.

„დასელთა“ იდეოლოგს ნება არ ქონდა ეთქვა, თფილისის გუბერნია საქართველოს ეთნოგრაფიულ ნაწილს არ წარმოადგენსო. მას შეძლო ეთქვა: თუმცა თფილისის გუბერნიის შვიდი მაზრა და ზაქათალის ოლქი წარმოადგენს ეთნოგრაფიული საქართველოს ნაწილს, მაგრამ ბორჩალოსი და ახალქალაქის მაზრები კი არაო.

ნამდვილი ჯამბაზია ხსენებული ავტორი: რადგან ორი მაზრა უცხო ტომის ხალხით არი დასახლებული, აილო შვიდი ქართული მაზრაც, ჩამოაცალა საქართველოსა და ხსენებულ მაზრებს თან გაატანა. მაგრამ მან არ იცის ფიზიკის უბრალო კანონი: დიდი ტანი იზიდავს თავისკენ პატარა და არა პატარა დიდსა. აგრეთვე საქართველო იზიდავს ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებსა და არა ეს მაზრები საქართველოსა.

ტუვია.

(დასასრული ხვალ).

სავაჭრო სახლი
# ი. გოკიელის ძმ—ბის
ქუთაისში.

ერთად ერთი წარმომადგენელი მთელ ამიერ კავკასიის ცნობილ აზრუმის ჭვის თესლის

# ხ. ხრისტოდულიდის
(რომელსაც წინათ ეძახდენ წერეთლის)

ამით აცნობებს პატივცემულ მებრეშუმეებსა და თესლის გამყიდველებს, რომ ვინც ახლავე პირველ კრისტ... თესლს არა ნაკლებ ერთ ყუთსა, რომელშიც 200 კოლოფია ექვს მისხლიანი. მათ დაეთმობა კოლოფი 1 მ. 70 კ. ... ყუთზე 40 მანეთი, დანარჩენი ფული, როდესაც თესლს წაიღებენ. შეკვეთა თესლისა მიიღება უმთავრეს საწყობში ქუთაისში თავის სავაჭროში, მიხაილოვის ქუჩაზე. ფარსანაყანევისათვის, შვანთვისთვის, ქვიტირისთვის, მაღლაკისთვის, პატრიკეთისთვის, საყულიასათვის, სვირისთვისა და წყალტუბოსათვის აგენტათ გამყიდველებისათვის დანიშნულია ლეგანტი ქქვთამეს მე ნუცუბიძე, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევში იარმურკაში.



დეპოლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობის და შპალიერის ქ. ქუთაისში.

# ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოჰყოება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ლუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი „ლინოლეუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მეირფასი საოჯახო ნივთი, აურაცხელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი. № 10.


რა თქმა უნდა, ყოველთვის ერთსა და იმავე საგანზე წერა, მაგრამ, რას იქ, როცა ჩვენი სენი უკურნელი შეიქნა? გლოვიარე ადამიანის საქმე-მოთქმაა. მოშეტებით ბევრი ითქვა და დაიწერა აქაურ ინტელიგენციაზე, ბევრი დაიწერა ქართულ გამოცემებში მათ კულტურულ დაკნინება—დაქუცმაცებაზე, მაგრამ მაინც ვერას ჩახვდენ. ოზურგეთში საკმაოთ მოიძებნებიან მოწინავე და საქმის მცოდნე პირები—ზოგი მკვიდრი და ზოგიც სხვადასხვა ქალაქიდან გამოგზავნილი, სხვადასხვა თანამდებობის ასასრულებლათ, რომელთაც, ცხადია, უნდა ჰქონდეთ განვითარებული გემო კულტურული საქმიანობისა... მიუხედავათ იმისა, რომ აქ სცენის მოყვარენიც საკმარისათ არიან ერთჯერაც არ მოისვლიათ აზრათ დრამატიული წრე მოეწყოთ და ემართათ ქართული წარმოდგენები. გარდა იმისა, რომ რიგიანათ გამართული წარმოდგენები სულიერ საზრდოს მისცემდა ხალხს, შეიძლებოდა, ნაწილი შემოსული ფულისა მოხმარებოდა რასმე საზოგადო საქმეს, მაგ. თეატრის შენობას. თითქმის ყველა დაბა-ქალაქში ცდილობენ მოუმზადონ ნიადაგი მუდმივს ქართულ წარმოდგენებს და აქ კი...

აქა-იქ საყვედურები მოგვესმის აქაური სამკითხველოს წესებზე, მაგრამ დრო გვაქვს და კიდევ მოვესწრებით ჩვენი გულისწყრომა გამოვსთქვათ ამ საქმეზე, თუ რომ...

ვუსურვებ აქაურ ინტელიგენციას საგათის ძილს თავი დააწიონ... **სკოკო.**

## უკანასკნელი პასუხი.
**„ხაზრალო არხეზას."**
(მ. როკითელის უკანასკნელი წერილის გამო.)

ბ. როკითელო! თქვენს უკანასკნელ წერილზე არსებითად არ გიპასუხებთ. არ გიპასუხებთ იმიტომ, რომ თქვენთვის არც ლოღიკა, არც სიმართლე და არც სინიდისი არ არსებობს. როგორც თქვენი წერილიდან ჩანს, თქვენ ჩემი წერილებისა და გ. ახ-იანის წერილის შინაარსი ვერ გაგიგიათ. ეს არც საკვირველია, რადგან ბუნებას საკუთარი აზრი და დამოუკიდებელი აზროვნება თქვენთვის არ მოუნიჭებია. ხოლო, გსთქვათ, ერთს მშვენიერ დღეს ახალგაზდა ბელეტრისტ-სიმბოლისტმა („ვინ იძია შური"-ს ავტორმა) გითხრა: მიხეილ, გარეთ გამოდი, შეხე მზეს, როგორ თამაშობს. თქვენ კალამი უკვე ხელში გექნებათ აღებული და შემდეგ სენსაციურ ამბავს მოსწერთ „მერცხლის" რედაქციას: ამა და ამ დროს ქ. ხარკოვში მზე ლეკურს უვლიდა, რომელსაც ვარსკვლავებიც შეუერთდენ და მაყურებელთ დიდებული სურათი წარმოგვიდგათ (თქვენი შემოქმედება, ვგონებ, უდიდესი „გიპერბოლიზმით" უნდა იყოს შეპყრობილი). თქვენი წერილისათვის ლათინური სათაურიც კი დაგირქმევიათ, ბ. მიხეილ, იქონიეთ იმდენი გამბედაობა, აღიარეთ, ვინ გასწავლათ მოყვანილი ლათინური თქმულების აზრი?! ამასთანავე, რაღა ჩემს სიტყვებს იმეორებთ თქვენს წერილში, განა სხვა ვერა გასწავლა რა ორმა ბელეტრისტმა? დასასრულ გულწრფელათ გირჩევთ, ნუ გაგიხდიათ თავი სხვების უსულო ადეპტით! ნუთუ ვერ ამჩნევთ, რომ ისეთ კურიოზამდი მიდიხართ თქვენს დაბრმავებაში, რომ მალე ქვეყნის თავგასართობ ტიკინათ გადაიქცევით? ამას წინეთ ხომ დაინახეთ, სადამდი მიგაყვანათ თქვენმა ატყდომამ?! თქვენი მეგობრები კი სეირს უყურებდენ! სხვა რომ არა იყოს რა, სარევიზიო კომისიის ახლათ არჩეული წევრი ხართ (თუ რა საშვალებით, ამას თავი დავანებოთ!) და მეტი სიდინჯე, თავდაჭერა და სიდარბაისლე გმართებთ. მერწმუნეთ, ყოველივე ის სიბინძურე, რომელიც თქვენ ამოუშვით „მერცხლის" ფურცელზე, ისევე თქვენს სახეს უბრუნდება და შავათ მოსავს... ამიტომაცაა, რომ მე ყურადღებას არ ვაქცევ თქვენს ყოვლად უშვერ, მხოლოდ ნაძირალთაგან მოსალოდნელ ლანძღვა-გინებას...

ალ. წერეთელი.

## წერილი რედაქციის მიმართ.
**ბ. ირაკლი ბიბილეიშვილს,**

სამედიატორო სამართალი მე ასე მესმის, რომ ორ მოდავე მხარეს შუა გამოარკვიოს ნამდვილი სიმართლე. აი ამ აზრით გიწვევთ თქვენ სამედიატო სამართალში ე. ი. იმის გამოსარკვევათ თუ რამდენათ დამყარებულია სიმართლეზე თქვენი ჩემს წინაამდეგ ბრალდება. რაც შეეხება ფულის გადახდას არჩილ ჯორჯაძის ფონდისთვის, ჩემის მხრით, ეს თქვენი წინადადება ზედმეტათ მიმაჩნია, რადგან არჩილ ჯორჯაძის სახელით ფულის გადახდა ჩვენს შორის ატეხილი წვრილმანი უსიამოვნების გამო უადგილოთა და არჩილის სახელის შეუფერებლათ მიმაჩნია. გაძლევთ ორი დღის ვადას თქვენ მიერ მედიატორეების არჩევისა და სამედიატორო სამართლის ვადის დანიშვნისთვის.

გალაკტიონ კვირიკაძე.

რედაქ.-გამომცემელი გ. ბრეგაძე.


**ი ყ ი დ ე ბ ა** კახიანოურში, რკინის გზის გადასავალთან ორსართულიანი ქვიტკირის სახლი, დაგირავებული ბანკში, ღვინის სარდაფით, სარაიათი და ბაღით, ზომით 400 კვ. საჟ. პირობების გაგება შეიძლება ტ. მ. კნუნთან, თფილისის ქუჩა, ფირალოვის სახლი.

**საცვლების მკერავი ქ ა ლ ი**
სალომე უკლებაშვილისა ღებულობს საკერავებს.
ბაღდადის ქ. სახლი გრიგოლიაში № 64

ევროპიული ტანისამოსების სახელოსნო
**ნ. ასათიანისა და ი. გვეროლელიძის.**
ქ. ქუთ. ალექსანდრეს ქ. სახ. თევდორაძისა.
ვღებულობთ ყოველნაირ შეკვეთილ საქმეს, რომელსაც ვასრულებთ დახელოვნებული გამომჭრელის და საუკეთესო ქარგლების ხელით. ყველა ჩვენს მუშტარს შეუძლია ისარგებლოს 1/2 წელს ტანისამოსის უფასო შეკეთებით.

13-го декабря 1913 года при канцелярiи 2-й батареи 51-й Артиллерiйской бригады, Месхетскаяулица домъ Когуащвили

**назначаются ТОРГИ**

на цоставку продуктовъ съ 1-го января 1914-го года для 3-хъ батарей 1-го легкаго дивизiона 51-й Артиллерiйской бригады.

Лица, желающiе принять участiе въ торгахъ, приглашаются къ означенному дню въ 11 часовъ утра для заключенiя контрактовъ на поставку продуктовъ.

**КУРСЫ** кройки и шитья для дамъ и дѣвицъ.
**ПРIЕМЪ** заказовъ на элегантные дамскiе наряды

**M-me МАРИ**

На-сколько важно для каждой дамы и дѣвицы самой, безъ посторонней помощи, умѣть кроить и шить, говорить объ этомъ нѣтъ надобности. Достаточно сказать, что спецiальность эта, совмѣщаетъ въ себѣ двойную выгоду: ЭКОНОМIЮ и ЗАРАБОТКИ. Она каждой дамѣ и дѣвицѣ даетъ могучую возможность: 1) одѣваться почти даромъ и со вкусомъ и 2) заработывать вдвойнѣ путемъ преподованiя курсовъ и прiема заказовъ. Курсы эти открыты мною по образцу заграничныхъ. Благодаря особенностямъ метода и постановкѣ дѣла курсы усваиваются БЫСТРО, ЛЕГКО и ОСНОВАТЕЛЬНО. За мою долголѣтнюю практику заграницей и въ столичныхъ городахъ Россiи, какую я на этомъ поприще искуства принесла пользу, въ этомъ убѣждаютъ безчисленные газетныя благодарности, какiя систематически изъявлены мнѣ многими изъ моихъ бывшихъ курсистокъ. Время дорого. Поспѣшите записаться на курсы.

Тутъ же при курсахъ открыта мною спецiальная мастерская для прiема заказовъ исключительно на элегантные наряды, отличающiеся изящностью фасона и художественностью работы. Полное угожденiе вкусу любительницъ изысканныхъ нарядовъ, это—нашъ девизъ. Ѣздить въ Тифлисъ на курсы или за заказомъ художественно—изящныхъ нарядовъ болѣе нѣтъ надобности.

*Адресъ:* Кутаисъ, 1-ая Александровская ул. д. Бокерiя противъ бульвара.

Съ почтенiемъ **M-me МАРИ.**

**ა. ი. კოსტავას ევროპიულ მაღაზიაში**
(თფილისის ქუჩა, ქალაქის ავთაბქის გვერდით)
კაცების ახლათ მიღებულ ტანისამოსზე 20-ი ნოემბრიდან 1 იანვრამდი
**დანიშნულია**
**დიდი იაფი ვაჭრობა.**
ფასები ძლიერ დაკლებულია.
კოსტიუმები 8—35 მან., შარვლები 4—12 მან., პალტო 10—38 მან.
ფასები უვაჭროთ.



ქ. ქუთაისში. (საკრებ. ტაძართან).
**ა. თაბაგრის მაღაზიაში.**
მიღებულია დიდძალი საუკეთესო საკერავი, საქსოვი და საწერი მანქანა, გრამაფონები, ველოსიპედები და მათი მოწყობილება. საქონლის სიკარგის პირობას ვიძლევი.
ფასები ძლიერ დაკლებულია.
ვყიდით ნისიათაც თვიური შემოტანით.

**გ. გორდაძისა და ს. წერეთლის**
ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის და სოხუმის ოლქში უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მანებისს ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მისის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОВ"
**რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:**
საუკეთესო ქარხნებისგან
**მიღებული რკინეული**
საქონელი: კარის, ფანჯრის და ღუმელის მოწყობილობანი; სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი, ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი, ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.
**ვაჭრობა პარტიითა და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.**
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65

გამოცემა „სორაპანისა"
დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ
დასურათებული
**კედლის კალენდარი 1914 წ.**
შედგენილი გრ. ჩარკვიანის მიერ
ფასი 2 აბაზი
კალენდრის კარდონი დაბეჭდილია ლიტოგრაფიაში ათი ფერი საღებავით სუფთად და ლამაზათ.
**სახალხო კალენდარი 1914 წ.**
დასურათებული.
შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ. ფასი 1 აბაზი.
კალენდრები იყიდება საქართველოში ყველგან.
ვისაც პარტიით უიდგა სურს, მან უნდა მიმართოს შემდეგ ადრესით: თფილისი, მადათოვის კუნძული, სტამბა „სორაპანი".

**ახლათ გამოშვებული პაპიროზები „დ ე ლ ი - ბ ა ზ"**
10 ცალი 6 კაპ. 25 ცალი 3 შ. იყიდება ყველგან.
პაპიროზები კეთდება გამოჩენილი წვრილფურცლიანი ნამდვილი თათრული თამბაქოსაგან, რომელსაც შესამჩნევი არომატი და სასიამოვნო გემო აქვს.
თუთუნის ქარხანა „ბინიატ-ოღლისა" ბათუმში კომაროვის ქუჩა, საკუთ. სახლი.